საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. შთაბეჭდილ კომიტეტის ორგანო

სოციალისტ-ფედერალისტი

სამშაბათი აპრილის 26

1921 წ.

№ 47

ეროვნული ბიბლიოთეკა ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა

„სოციალისტ-ფედერალისტზე"

სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 1500 მან.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინა ალექსანდრეს ასული მაჭავარიანისა, სიდედრი პოლინარა სუეტინისა მწუხარებით აუწყებს ნათესავს და ნაცნობს ძვირფასი და დაუვიწყარი

დავით საბას ძე მაჭავარიანის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე სამშაბათს აპრილის 25, წირვის შემდეგ, პანაშვიდი გადახდილ იქნება ქვაშვეთის ეკლესიაში.

ძმისწული ნინო კოსტანტინეს ასული და სიძე დავით ლუარსაბის ძე მგალობლიშვილები პატარა ქალით თამარით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი ბიძის,

დავით საბას ძე მაჭავარიანის

გარდაცვალებას. 19

ღრმად დამწუხრებული ძმები კონსტანტინე და ვასილი რძალი მარინე ძმიშვილები ფასო, თამარა, კორნელი, ირაკლი მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ

დავით (დათიკო) საბას ძე მაჭავარიანის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სამშაბათს 25 აპრილს ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ქვაშვეთის ეკლესიაში.

ღრმად დამწუხრებული ინჟინერი მიხეილ სპირიდონის ძე მაჭავარიანი და მეუღლე მისი პელაგია მინაგოს ასული, მწუხარეთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ძვირფასი და დაუვიწყარ ბიძაშვილის

დავით (დათიკო) საბას ძე მაჭავარიანის

გარდაცვალებას. 888

განუსაღვრელ მწუხარებაში მყოფნი მშობლები ნესტორ მარკოზისძე და მართა ბესარიონის ასული, ძმები: შალვა, ტიტე, გეორგი და ნოე, და ნინა ბერიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავი და ნაცნობ-მეგობართ ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის

მალაქი ნესტორის ძე გერიშვილის

უდროოთ დაკარგვას, რომელიც გარდაიცვალა 20 აპრილის ს. შვა-სუ-რებში ფრონტიდან დაბრუნების ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ. 890

გულდათუთქული ექიმი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, მეუღლე მისი ოლიმპიადა ნესტორის ასული და შვილები ბორის და ვახტანგ ხვედელიძეები განუსაღვრელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის ძვირფასი ცოლის ძმის, მეორის უსაყვარულესი ძმის და მესამეების საყვარელი ბიძის

მალაქი ნესტორის ძე გერიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. 890

ღრმად დამწუხრებული ბებია მაკა ნიკოლოზის ასული ბიძასები: დავით, ვასილ, ისიდორე და იაკობი ბესარიონის ძენი, ბიცოლები: ოლგა, ეკატერინე, მარო და ლიდა და ბიძისშვილი აკაკი ვასილის ძე რამიშვილები უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფას და საყვარელ

მალაქი ნესტორის ძე გერიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 890

კვირა ს, აპრილის 24-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ეფემია მიხეილის ასული ჩომახაშვილისა,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, შვილი, მღვდელი გიორგი ქალი ანიკო გძელიძისა, სიძე ივანე გძელიძისა, შვილის-შვილი ადამი. წირვა იქნება ანჩისხატის ტაძარში, დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს ეკლესიაში აპრილის 26-ს 887

პოჯორის რევკომი მოიწვევს ყველა ოგარაკის მეპატრონეთა ხაზოგადო კრებას აპრილის 26, სამშაბათს, სადამოს 5 საათზედ ბინას-აპასის მოედანი № 9, ბინა კორლანოვისა. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა. 891

ბურუსი?

გრ. გიორგაძის საპასუხოდ.

გაზეთ „ახალ სხივი"-ს უკანასკნელს (№ 10) ნომერში. გრ. გიორგაძის დიდი ფელეტონია დაბეჭდილი—„ჩვენ, ანტანტა და რუსეთი."

მეტად საყურადღებო საკითხზეა ლაპარაკი. საით მიისწრაფოდა საქართველო? რა იყო მისი ორიენტაცია?

ეს საკითხი წარმოადგენს საკითხთა იმ რიგს, რომელიც სავსებით არ არის დამოკიდებული ჩვენს ნებისყოფასთან. გიორგაძე ამბობს: „მართლა იყო ქართველი მშრომელი მასსა-მუშები და გლეხები ყურ-მოჭრილი მონა ანტანტისა, თუ ის მუდამ შეურყევლად იცავდა თავის სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესებს?"

უნდა ვსთქვათ, რომ პატივცემულ გიორგაძიდან ჩვენ საკითხს ამ გვარად დაყენებას არ მოველოდით. რას ნიშნავს „მშრომელი მასსა-მუშები და გლეხები"? განა ვინმემ სადმე, თვით ბოლშევიკებმა ან ოლელიძე იყურადღა სთქვა, ოდ ქართველი ხუთები სპეციალენ ნეიტრალიტეტის ან ორიენტაციის საკითხს? —ბასაკვირველია არა, ასეთ სტრიქონს ვერასოდეს იპოვის ა-ხი გიორგაძე.

ნეიტრალიტეტის და ორიენტაციის საკითხის პასუხის მგებლობას ა-ხი გიორგაძე, ხუ ითანვევ გლეხებს და ხუთებს, ეს პასუხისმგებლობა უნდა იკისროს პოლიტიკურმა პარტიებმა და უმთავრესად პარტიების მთავარმა ორგანოებმა.

ეს ბოლშევიკურ საქართველოს თავარ პოლიტიკის პასუხისმგებლად ჩვენ ვსთვლით არა ქართველ ხუთებს და გლეხებს, ამიტომ ეს ბოლშევიკურ პარტიას, ორ-გორც ასეთ! იქონიეთ ა-ხი გიორგაძე იმდენი ინიციატივა, ოდ ილაპარაკოთ საკუთარ პასუხისმგებლობაზე და ეს ბოლშევიკებს ეს ეს ე

ანგარიშ გარეშე ხომ რჩებიან მაინც ზოგიერთნი, ვინაც 30-ზე ნაკლები სამეცნიერო წიგნი აქვს, და 300-ზე ნაკლები ლიტერატურა? მათ ხომ აქვთ უფლება გაყიდონ წიგნი? და მაგ. მე, რომლის წიგნები ანგარიშზე აღებულია მაქვს თუ არა უფლება ბაზარზე გამოტანილი წიგნი ვიყიდო, და თუ ვიყიდი ის ხომ არ იქნება დღეს აწერილ წიგნთა სიაში? და შესაძლო კონტროლის დროს, როგორ დავამტკიცო, რომ წიგნები შემდეგ ვიყიდე, და არ დამიმალავს როცა წიგნების სია სდგებოდა? ამისაც გარკვევა სჭირდება.

პასუხს და განმარტებას ველით.

მწიგნობარი.

გეგლარი ავად არის!

ქართული დოადის ნიჭიერი მოკარნახე და მგოსახი ბეგლარ ამოსპირელი სერიოზულად არის ავად...

შეტრფოლა ქართველი მშრომელი ხალხის განთავისუფლებას და თავისი კალმით „ობოლი" ლექსებით მოუწოდებდა კერპების დამხობისაკენ.

ავად გახდა იმ დროს, როდესაც ქართულ გახალებულ სცენას ეაჭიროება გამოცდილი მოკარნახე—როგორიც არის ბეგლაური. ეხლა ამის უძლური დაავადებაფეებული და ბიჯაქვული ლოგინში...

ტომით სომეხი—თელაველი მოკალაქე იმ წარსულ გათიშვის კაცი-ქმნა „პოლიტიკასიის" დროს, როგორც საქართველოს ქეშმარიტი მოკალაქე შესწირა ქართულ სცენას და მეგობრობას თავისი ნიჭი და უსაო.

ვის არ ახსოვა მისი შესანიშნავი პასუხი, სომეხ შოვინისტებს.

ეხლა ქართველი საზოგადოების და ჩვენი რევოლიუციონური მთავრობის ვალია მატერიალური დახმარება აღმოუჩინოთ მას და დაუკუნებლივ მოათავსონ ერთელიმე საქართველოს სანატორიაში.

მ. ლობჯანიძე.

დადგენილება № 4

ლგინის გაყოფის შესახებ.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტმა დადგინა:

საქართველოს ოკუპაციის მთელ ტერიტორიაზე ლვინით თავისუფალი ვაჭრობა ნებადართულია შემდეგ საფუძველზე:

1. ლვინის ბოლოდ ხელზე გაყიდვა შეიძლება კოოპერატივებიდან, სასუფსათო დუქნებიდან, ლვინის სარდაფებიდან, მევენახეთა საწყობებიან, სამიკიტნოებიდან და სხვა.

2. რესტორანებში, ბუფეტებში, სამიკიტნოებში და სხვა ისეთ ადგილებში, სადაც ხელმდეთულია ლვინის მბოლოდ ხელზე გაყიდვა, ლვინის სმა აკრძალულია.

3. ვაჭრობა მაგარი სასმელებით, მაგალითად, არაყით, კონიაკით, ლიქიორით და სხვ.—აკრძალულია.

შენიშვნა: მესამე მუხლში მოხსენებული ძაგარი სასმელების გაცემა წესს ავადმყოფებისა და საბავშვო ნაკურნალოების საჭიროებისათვის ეიმუშავებენ სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ორგანოები.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი გ. ბერიჩიძე.

1921 წ. აპრილის 22-ს.

ქ. ტფილისი-სასახლე.

ბრძანება № 8

საქართველოს ბაგაგეგო კომიტეტის, კონტრრევოლიუციასთან, ჯაშუშობასთან ბრძოლის სპეციალიზაციასთან, სამხედრო ბრძოლის ჩადენილ ბოროტ მოქმედებასთან და ბანდიტიზმთან სახალხო სასამართლოდ.

22 აპრილი 1921 წელი. ქ. ტფილისი.

ვინაიდან ამ ბოლო დროს საგრძობლად გახშირდა ქალაქ თბილისში და მის მიდამოებში ბანდ-ელემენტების მიერ უმიზნო სროლის შეთხვევა, რომელიც ირღვევს რევოლიუციონურ წესრიგს და ქალაქის მშვიდობიან ცხოვრებათა მყუდროებას, საქართველოს საგანგებო კომისია, როგორც თანაგვარ დანაშაულთა წინააღმდეგ ებრძოლი ორგანო და საქართ. სოციალისტურ ბჭოთა რესპუბლიკაში რევოლიუციონურ წესრიგის და პირადი ხელშეუხებლობის დამცველი, ნაჩვენებ ბოროტმოქმედებათა სავსებით აღმოფხვრის მიზნით უბრძანებს ქ. ტფილის ტ მის მიდამოებში მცხოვრებ ყველა მოქალაქეთ ვინც-კი ატარებს, ან სახლში ინახავს რაიმე სასროლ იარაღს დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა ათი დღის განმავლობაში ჩააბარონ ასეთები საქართველოს საგანგებო კომისიასთან არსებულ საკომენდანტო ქვე-განყოფილებას ქ. თფილისის საკომენდანტო სამართველოს მიერ წინეთ მიცემული ყოველგვარი ნებართვა სასროლ-იარაღის ჯარების შესახებ დღეიდან ცხადდება გაუქმებულად და ამიტომ ასეთები ჩაბარებული უნდა იქმნეს იარაღთან ერთად ზემო აჩვენებ ქვე განყოფილებაში. წესი იარაღის ტარების ნებართვის მიცემისა და ან ასეთების უკუდაბრუნებისა გამოქვეყნებული იქნება დამატებით. იარაღების ჩაბარების პირველ დღეთ ინიშნება ამა წლის 27 აპრილი დილის 9 საათი იარაღების მიღება იწარმოებს საქართველოს საგანგებო-კომისიის შენობაში, პეტრე დიდის ქუჩა № 22 შესავალი ერმოლოვის ქუჩიდან, მეორე კარები, ცნობათა ბიგიდა, სადაც მიღებული იარაღებზე მიცემული იქნება სათანადო კვიტანციები, როგორც გასამართლებელი საბუთი იარაღის მიცემისა. ნაჩვენები ვადის გასვლის შემდეგ ამ ბრძანების დამრღვევნი და იარაღის შენახვაში დაჭერილი, ან შენიშნული დასჯილ იქნებიან უმაღლეს სასჯელით —დახვრეტით.

შენიშვნა: ბრძანება არ ეხებოდა სამხედრო ორგანოებში და მილიციაში ძმუშავეთა პირებზე, რომელთაც დაკავებულ თანამდებობით აქვთ იარაღის ტარება მიკუთვნილი, არ ეხება იგი აგრეთვე საქართველოს კომუნისტურ პარტიის წევრებს.

თავმჯდომარე კ. ცინცაძე, ადმინისტრატიულ ორგანიზაციულ სამმართველოს უფროსი ვ. წიგნიგაძე, მდივანი კ. იაშვილი.

ახალი ამბები

— **სახელმწიფო დრამის თეატრში.** დღეს გაბმეორებულ იქნება ტრ. რაჭიშვილის პიესა „შეშლილნი" ალ. წუწუნავას რეჟისორობით და დ. კლდიაშვილის «დაოისპანის გასაპირი».

— **მილიციაში.** საქართველოს ს. ს. რ. რევკომის დადგენილების თანახმად უქმდება ტფილისის საგუბერნიო მილიციის გამგეობა და არსდება რესპუბლიკის მილიციის მთავარი სამმართველო. მილიციის მთავარ სამმართველოს უფროსად ინიშნება კ. ოატიშვილი. პოლიტიკურ კომისრათ ბ. ტრაპაიძე. ადნიშნულ სამმართველოს შტაბის უფროსათ ი. ფურცელაძე. შტაბის პოლიტიკურ კომისრათ ი. იობიძე.

— **ბავშვების სტატისტიკა.** მუშათა მგიდა შეუდგა მუშა-მოსამსახურეთა ბავშვების დასაწყებლების ყლოვანობის და ბიზედვით 6 კატეგორიად: ერთი ულამდის, ერთიდან ორ წლამდის, ორიდან სამამდის. სამიდან ხუთამდის, ხუთიდან თოთხმეტამდის და თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდის. ეს განაწილება უმთავრესად სტატისტიკურ ცხრილის შესადგენად არის გამზრახული.

— **გორის აღდგენა.** არსდება მიწის ძვრისაგან დანგრეულ გორის რაიონის ადგილების აღდგენელი გამგეობა. ამავე გამგეობას მიეხდობა მეთვალყურეობა ბენშევიკთა მთავრობის ექსპედიციისაგან დაზარალებულ ოსეთის თაიონის აღდგენისა. ძთავარი გამგეობ. იქნება გორში და სათავეში უდგას ინტელიერი ვ. გ. იაკუბოვიჩი.

— **ქალაქის სასურსათო კომიტეტმა** მიჰმართა სახალხო სასურსათო კომისარიატ, მოხსენებით, რომელშიაც აღნიშნავს რომ აპრილის ბოლოს და მაისის პირველ ხახევრისათვის საჭიროა მუშებისათვის და მოსამსახურეებისათვის 35000 ფ. ხავთი, მცხოვრებელთათვის სახლის კომიტეტების საშუალებით 15,000 ფ. ქუჩეაის და დაწესებულებების გასანაწილებლ 5000 ფ. სულ 55000 ფუთი ნავთი. რაც შეეხება დენატურას, ის იმავე საჭიროა. წისქვილებისათვის ფურნეებისათვის, რომელიც აცხობენ პურს. მუშა-მოსამსახურეთათვის 7500 ფ. საავადმყოფოების და სხვა დაწესებულებების საჭიროებისათვის 5000 ფ. სულ 10,500, სრულ განსახორციელებლად და დასარიგებლად საჭირო სურსათისა ქალაქის სასურსათო კომიტეტი თავის მოხსენებაში სახალხო სასურსათო კომისარიატისადმი სთხოვს უკანასკნელს, რათა აღძრულ იქმნეს, სწრაფი შუამდგომლობა რუსეთის სახალხო მეორნეობის კომისარიატისადმი რათა ქალაქის სასურსათო კომიტეტს შეუფერხებლივ გაეცეს ზემოაღნიშნული რაოდენობა ნავთისა და დენატურატისა.

— **არტისტების კრება.** პირველ მაისობის დღესასწაულის მომწყობი, თეატრალური კომისია იწვევს ორშაბათს, 25 აპრილს დილის 11 საათზე სახელმწიფო საოპერო თეატრში. საზოგადო კრებაზე ყველა არტისტების (ოპერა, დრამა, ოპერეტტა, ქორო, ბალეტი და და ცირკი) და აგრეთვე დრამატიული სტუდიის ყველა მოწაფე ვალებს და ქალების წარმოდგენის პროგრამის გასაცნობათ, რომელიც გამართულ იქმნება ვაკეში.

— **წითელი აღმოსავლეთი.** 24 აპრილს, მეორე სახელმწიფო თეატრის საკოსცერტო დარბაზში გამართულ იქმნება „კავროსტას" აღმოსავლეთის განყოფილების მიერ კონცერტი-მიტინგი „წითელი აღმოსავლეთი". პროგრამაში: სიტყვები აღმოსავლეთის რევოლიუციის შესახებ წარმოსთქვამენ წარმომადგენელნი აღმოსავლეთის განყოფილებისა და აღმოსავლეთის რევოლიუციონურ პარტიებისა, აღმოსავლეთის მუსიკა და რევოლიუციონურ ლექსების დეკლამაცია, დასასრულ ინტერნაციონალი.

— **ლიტერატურა აღმოსავლეთის ენებზე.** იმ პირთ, ვისაც აქვთ ამიერკავკასიაში 1818—21 წ. გამოსული ბოლშევიკური ნაწარმოებნი (წიგნები, ბროშიურები, გაზეთები, პლაკატები, სურათები, პროკლამაციები) თურქულ სპარსულ—ყველა კილოკავებზე, ებრაულ, ბერძნულ და ქართულ ენებზე, უნდა ძოიტანონ აღნიშნული ნაწარმოებნი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში (სასახლე) დილის 9—11 საათამდე გამგის თანაშემწე ს. დ. რომანოვთან, ბიბლიოგრაფიული აღწერისთვის და მათი შესყიდვის მოლაპარაკებისათვის.

— **ხელოვნების სახახლეში.** 26 აპრილს, ქართულ ხელოვანთა სასახლეში პოეტები პაოლო იაშვილი და ტაბიძე გაიკეთებენ მოხსენებას შემდეგ თემაზე: პაოლო იაშვილი არტურ რიმბოზე, ტაბიძე—ლაფსრგეზე, ქართველ იწერალთა კავშირის განზოგადებული აქვს ახლო ძმავლიდან დაიწყოს სისტემატიურათ ხელოვნთა სასახლეში სალიტერატურო-სამუსიკო საღამოების გამართვა. საღამოს მოწყობა დავალებული აქვს ქართ. დრამის რეჟისორს წულუბავას, კომპოზიტორ მ. იალანჩივაძეს და პოეტ პაოლო იაშვილს.

ქართველ მწერალთა საბჭო ყოველ ზომებს დებულობს, რომ ბრწყინვალეთ იდღესასწაულონ ქართულ პოეზიის დღე—7 მაისს. ამ დღის მო აწყობათ მოწვეულია საუკეთესო ლიტერატურული და არტისტიული ძალები.

ქართველ მწერალთა საბჭომ დადგინა: მიწად-მოქმედების სახალხო კომისარს სთხოვოს, რომ გადასცეს მათ განკარგულებაში საბოსტნე მიწის ნაკვეთი ქალაქის ახლოს. ამ საქმის მოწყობა დავალებული აქვს ტაბიძეს, ადლაძეს და გვანცალიძეს. 1 მაისისთვის დანიშნული ქართველ მწერალთა კონფერენცია ტეხნიკურ დაბოკოლებათა გამო გადადიდა.

— **ევროპიისა და ხაქავთველოს შორის საქონლის გაცვლა.** იტალიის მსხვილ ფირმის „ტ. ი. ვალაცი"-ს რწმუნებული ამხ. ლარიბოვი გვაცნობინებს, რომ მისი რწმუნებელი, რომელიც გავიდა ბათომიდან სხვა უცხოელებთან ერთად, მიდებულ რადიოს თანახმად აპრილის 13 გამოვიდა კონსტანტინეპოლიდან იტალიის სანავსნო სახლეთო სამსახურის საზოგადოების გემზე „ვენეცია"-ზე და ამ დღეებში იქნება ბათომში საქონლით, რომელიც დანიშნულია საბჭოთა საქართველოსთვის.

ამასთანავე ერთად ამხანაგი ლარიბოვი გვაცნობინებს შემდეგს: იტალიის ყველა სანაოსნო საზოგადოებანი გერმანიაში გაერთიანდნენ შრომის სამინისტროს უწყებაში. ყველა ამ გაერთიანებულ საზოგადოებათა მთავარ აგენტათ შავი ზღვის ნაპირად დაინიშნა ტ. ი. ვალაცი.

ამხანაგი ლარიბოვი ამ ჟამად ვალაცის ფირმის მინდობილობით აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს და რუსეთის გარეშე ვაჭრობის კომისარიატთან მუდმივ ნაოსნობის განახლების შესახებ შავი ზღვის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნავთსადგურებსა და ევროპა-ამერიკის ნავთსადგურებს შორის. მუდმივი რეისების დაწესების გარდა ვალაცი წინადადებას აძლევს საბჭოთა საქართველოს და რ. ს. ფ. ს. რ. საფოსტო მიმოსვლის მოწყობის შესახებ ვალაცი წინადადებას იძცევა დაიწყოს სავაჭრო ურთიერთობა, როგორც საბჭოთა საქართველოსთან, აგრეთვე საბჭოთა რუსეთთან დიდი მასშტაბით და ამ რესპუბლიკებისთვის საჭირო ყოველგვარ საქონელს გადასცვლის შავ-ქვასა, ნავთსა, მაზუთსა, ზეთსა, ხიზილალასა, თხილსა, ბამბასა, მატყლსა და პიროქსიტზე და სხვა.

პარტიაში

აპრილის 21-ს მოსკოვიდან ახლად ჩამოსულმა ამხ. სამონ ხუნდაძემ წაიკითხა მოხსენება პარტიულს ბიუროში საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად გაარკვია თანდათანობითი ვითარება საბჭოთა რუსეთისა 1917 წელს რევოლიუციიდან დაწყებული დღემდის და ადნიშნა, რომ ოუ-ეთმა საერთაშორისო პოლიტიკურს ურთიერთობაში მოიპოვა თავისი შესაფერისი ადგილი და ერთს რეალურს საერთაშორისო ძალად შეიქმნა მსოფლიოში. ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ მოყვანილი იქმნა ცნობები კრიზისების და წარმოების დაცემის შესახებ. დღეს დღეობით სჩანს აღორძინების ნიშნები და წარმოება წინ ბოის წაწეული შედარებით 1918—19 წ. კამათის გაგრძელება მოხსენების შესახებ მოხდა აპრილის 24-ს. კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: ალ. მდივანმ., ქრ. რაქველიშვილმა, თ. ლონტმა, ეფ. ჩახუხაშვილმა და სამ. დადიანმა. ბოლოს ოპონენტეის პაუზი გასცა მომხსენებელმა.

რადიო

გერმანიის ამბები.

მოსკოვი. ბერლინიდან მიღებულ ცნობებით, მუშათა მეამბოხეების მოძრაობა გავრცელდა რეინ-ვესტფალიის სამრეწველო რაიონებზედაც. ბერლინის დილის გაზეთები გვატყობინებენ, რომ ქალაქი მეტმანი და ფალბერტი აღებულია მეამბოხეების მიერ. ესენში წარძოებს სერიოზული კომუნისტებსა და პოლიციელებს შორის. ძრავალია დაჭრილი და დახოცილი. ოკინის გზის ხაზი ერაელფელდ-კელნი და დიუსელდოროფი დაკავებულია მეამბოხეთა მიერ. ძიმოსვლა შეწყვეტილია. გერმანიის ძთავრობამ შეიტანა საგანგებო წესები მიუნსტერ.ნ-პრენსბერგის ოლქში დ დაუკავებელ დიუსელდორფის ოლქის ნაწილში. კომუნისტეები მოუწოდებენ ოუ-ორის ოლქის მუშებს გენერალურ გაფიცვისაკენ. ლეიპციგში სწარძოცს სისხლის ძდვრელი ბრძოლები მუშებსა და პოლიციელებს შორის.

მოძრაობა იზრდება.

ბერლინი (რიგა) რევოლიუციონური მოძრაობა ცენტრალურ გერმანიაში იზრდება. სწარძოებს სერიოზული ბრძოლა, გრობერსის ახლო ჰადლო-ლეიპციგის ხაზზე, გრობერსის სადგური ბეამბოხეთა ხელშია. ჰალე-ლეიპციგის შორის ძიმოსვლა შეწყვეტილია. გალლეისევ უწყლოდ და უსინათლოთაა. ელექტრონია სადგურის ბუნები გაიფიცხენ „ტელეგრაფი უნიონი" გვაუწყებს, რომ კომუნისტეების მიერ დაკავებულია ბეტმანი დაიძვრნენ ფელდბერტისაკენ. ქალაქის აღების შემდეგ კომუნისტებმა დაიკავეს სახელმწიფო ბანკი და გაგზავნეს ხალხი სურსათის და ფულის მოსაძებნათ.

გაფიცვა ლეიბციგში.

რიგა. ქალაქ ლეიპციგის და საქსონიის სამრეწველო ქალაქების კომუნისტებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა. რეიკსვერმა გადაწყვიტა, რათა იმოქმედონ მეამბოხეთა წინააღმდეგ იარაღით.

პრუსიის საქსონიაში [illegible] კომუნისტებმა აიფეთქეს ამმენდორფ ბრუტნისის სარკინიგზო ხიდი. [illegible] ქალაქენი მასიურად [illegible]. ჭალეში შემოიტანეს [illegible] გენსფელდის-სამთო [illegible] ოლქში - [illegible]ების მიუხედავად კომუნისტების აგიტაცია ძლიერდება.

ქვანახშირის ამოღების გაძლიერება.

მოსკოვი. ქვანახშირის ამოღების გაძლიერების გამო ჩელიაბინსკის მაღაროების მცხოვრებნი 7,000-დან 21,000 სულამდე გაიზარდა.

ამის გამო სამთო მუშების კავშირის სარაიონო კომიტეტმა დაადგინა, გადაასახლოს ჩელიაბინსკის მაღაროების საზღვრებიდან ყველა ის ორგანიზაცია რომელიც წარმოებასთან არ არის დაკავშირებულნი. გადაწყვეტილია შუამდგომლობა აღძრან ჩელიაბინის მაღაროების მომუშავეთათვის 500 ბინის გადაცემის შესახებ.

მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება

მოსკოვი. მოსკოვის მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაარსებული კომისია მუშათა სახლებში მუდმივ სასანიტარო ძეთვალყურეობას აწესებს- კომისიას აზრათ აქვს მოაწყოს თავშესაფარები 29 მსხვილ ფაბრიკა ქარხანასთან. განზრახულია საბავშვო ბაღების და შემკეთებელ სახელოსნოების გახსნა.

რედაქტორი თედო ლლონტი.
გამოაკეთა დო. მთავარი კომიტეტისა.

დაკარგულია პირადობის მოწმობა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის თომა იაკობის ძის სიხარულიძის. ჩაითვალოს გაუქმებულად. 883

დაკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტ. ბესარიონ ხუხუნის სახელზე, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 881

დაკარგე სალექციო წიგნაკი და პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტმა დავით ი. წივწივაძეს, დაკარგული საბუთები დღეიდან გამოცხადებისა გაუქმებულად ჩაითვალოს. 880

დაკარგე პირადობის მოწმობა ალიხან ბერიძის ძე ასთიანისა. სახელზე მოცემული სახელმწიფო უნივერ. მიეო. ჩაითვალოს გაუქმებულად. 885

დაკარგა სოციალურ დახმარების წიგნაკი № 98 მიცემული შოთიეი სანიტარიზმოდან მალაქია ახთელავას სახელზე, რაც ჩაითვალოს გაუქმებულად. 884

დაკარგე მატრიკული, მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საბუთებისაკენ ყველა სამეურნეო დარგის სტუდენტ, კოსტანტინე თეიმურაზის ძე კუხიანძე, გთხოვთ აღნიშნული მატრიკული ჩაითვალოს გაუქმებულად. 882

ეძ სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნი მეცნიერების პირველ კურსის სტუდენტი დავით სვახიძე დაკარგე მოწმობა, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 886

განცხადება საწევრო ბარათი მოცემული რეპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირიდან № 403 დაკარგე, გთხოვთ გამოაცხადოთ გაუქმებულად. 889 ივანე ნანიკოს ძე ბაქანიძე.

დაკარგე სტუდენტის მოწმობა და შესავალი ბარათი მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ვლადიმერ ლუკას ძე ბურჯანაძის სახელზე, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 893

ყოფ. გიმნაზ. დამაარსებელი და გამგე ბათემბათიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე

ამზადებს
საშუალო სასწავლებლებს

ყოველ კლასებში ეესაყოველად ე. ი. 4, 6 კლასის მოწმობაზე პლეხანოვის და ალექსის ქუჩ. კუთხე 25—5, 9—12 ს. 4—6 ს. 796